სიმართლის ხმა

კვირა 6 თებერვალი
1921 წ.

ქ. სოხუმი

ფასი 25 მანეთი.

გაზეთი ღირს თვეში 100 მანეთი. ცალკე ნომერ[illegible] ყველგან 25 მ. განცხადების ფასი პირველ გვერდ[illegible] ზე პეტიტის სტრიქონი 20 მან. მეორე გვერდზე 15 მან. სამგლოვიარო განცხადება [illegible]

საჭიროანი არიან საჰედრ. კორეს[illegible] [illegible] დასაბეჭდი წერილები და კორესპონდენციები ჯერ ჯერობით გამოიგზავნება შემდეგს მისამართზე ქ. სოხუმი, 1-ლი სოხ. სანაპირო რაზმის შტაბ კულა გულიაშვილს, გაზ. „სიმართლის ხმა"-სთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 3 ყოველკვირეული უპარტიო სალიტერატურო გაზეთი № 3

მიიღება ხელის მოწერა

ყოველ კვირეულ უპარტიო და სალიტერატურო გაზეთ

სიმართლის ხმა-ზე

გაზეთის ფასი:

წლიურად	1200 მ.
თვიურად	100 —
ცალკე ნომერი	25 მ.

ხელის მოწერა მიიღება: ე. ბოხუასთან, ნ. ქურიძესთან კ. გულიაშვილთან და ვასო ალანიასთან.

სოხუმი, 6 თებერვალი.

26 მაისს, 12 დეკემბერს და 12 იანვარს კიდევ ერთი დატა, კიდევ ერთი თარიღი მიეჭატა, და ეს თარიღი გახლავთ 27 იანვარი. 27 იანვარს ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა იურიდიულადაც იცნეს ჩვენი რესპუბლიკა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო.

ამ ცნობას დიდის ამბით მივეგებეთ სოხუმელებიც 31 იანვარს. დილიდგანვე ქალაქი დაიკეტა და დროშებით მოიკაზმა. დღის 12 საათზე ცნობა ოფიციალურად გამოცხადდა. 2 საათზე სასწრაფოთ გამართულ იქნა ქალაქის საბჭოს საზეიმო სხდომა ალიოზის თეატრში, სადაც ხმოსნები, თუ სხვა ორატორები აღფრთოვანებული სიტყვებით აღნიშნავდნენ ამ აქტის მნიშვნელობას.

რა თქმა უნდა, თავის თავად ეს აქტი, როგორც ასეთი, ბევრის მხრით ფრიად სასიამოვნოა. იმას, რაც 120 წლის განმავლობაში მხოლოდ ნატვრისა და სურვილის საგანს შეადგენდა ყოველი პატიოსანი ქართველი მამულიშვილისათვის, რისთვისაც იმდენი სისხლი დაიღვარა, რასაც იმდენი მსხვერპლი შეეწირა, ბოლოს ჩვენ ვეღირსეთ ჩვენი სახელოვანი დემოკრატიის მეოხებით და ამით თითქო ორ-სამ თაობაზე უფრო ბედნიერნი გავხდით.

მაგრამ, მეორე მხრით, არც იმდენი გადაჭარბებული მნიშვნელობა უნდა მივაკუთნოთ ისეთ რასმე, რაც თავის თავად ბუნებრივია.

და რომ ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობა ევროპის სახელმწიფოთა მიერ ბუნებრივი და მათთვის სამართლიანად სავალდებულოც იყო. ამას, თუ გნებავთ, რსიც ეჭერმეტ-ყველურად ლაღადებს, რომ ჯერ კიდევ ადრე ძველათ თვით პაწია საქართველოს დაუდვია ამაგი დიდისა ძლიერის ევროპის წინაშე. ეს ამაგი ორნაირია, ცხოვრების ორს უმთავრეს სფეროში: მეცნიერულსა და საჰედრო-საზოგადოებრივში.

ბევრი იმ მეცნიერებისთვის, რომლითაც დღეს ევროპა ისე ამაყობს, საფუძველი ქართველ ერს ჩაუყრია.

ბევრჯერ აზიიდგან ევროპისაკენ დაძრული ურიცხვს ბარბაროსებს გზაზე პიწია საქართველო გადაღობებია და ევროპის მკერდში საძგებლათ განმზადილ გაწვდილ მახვილისათვის თავისი გმირული მკერდი მიუშვრია და ამ რიგათ ევროპა განსაკდელისაგან გადაურჩენია..

და განა ყველა ამის შემდეგ ქართველი ერი იმის ღირსი იყო ევროპისაგან, რომ ფაქტიურ ცნობის შემდეგ კიდევ ერთი წელიწადი ცდასა და ლოდინში ვეწვალებინეთ, სანამ იურიდიულადაც გვიცნობდენ?!.

რა თქმა უნდა, რომ აოა.

მაგრამ აქ, ალბათ, ადგილი ჰქონდა რაიმე ანგარიშს, რაიმე საიდუმლო განზრახვებს ჩვენდა მომართ რაიმე „მალალ დიპლომატიურ" მოსაზრებებს, რომლებითაც ისე მდიდარია ევროპის დიდ სახელმწიფოთა პატარა ერებისადმი დამოკიდებულების ისტორიული წარსული. მხოლოთ ბოლოს, როცა დაინახეს, რომ „კოვზი ნაცარში ჩაუკარდათ," მეტი რაღა გზა ჰქონდათ, და გვიცნეს... რა უყოთ, ესეც კარგია: „უკეთესია გვიან ვიდრე არასოდესო," ამბობს ანდაზა. ნურას უკაცრავად და მადლისა კი არაფერი სცხია ევროპის საქციელს ამ საქმეში. ჩვეი ამას საესებით ვაწერთ და ვუმადლით ჩვენს მხნე, სახელოვან ქართველ ერს, მდიდარს თავისი წარსულით, თავისი ათასწლეული კულტურით და ძლიერს თავისი ამწყოთი, თავისი დღევანდელი სინამდვილით.

თავისთავად ევროპის დიდ-სახელმწიფოთა მიერ ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობა ცალკეს არ ფერს წარმოადგენს, თუ ამას თან არ სდევს რაიმე პირობანი, რაიმე ალთქმა-ლონისძიებანი და აქედგან გამომდინარე რეალური საოგებლობანი ჩვენი ერისათვის. ხოლო დასაშვებია წინააღმდეგი შესაძლებლობაც. შესაძლოა ეს ცნობა რასმე, პირიქით, კიდევაც გვაკისრებდეს დიდსახელმწიფოთა წინაშე და მაშინ, ვაი თუ ცნობა არ-ცნობაზედაც უარესი შეიქმნას. ასეთი მაგალითებითაც მდიდარია ჭალარა ისტორია. ამ ფეჭვებს და ფიქრებს აღვგვიძრავს ერთი მხრით ისიც, რომ თვით ეს ცნობა შედგა საიდუმლო დიპლომატიურ მოლაპარაკებისა და არა დიდ სახელმწიფოთა ღია და გულწრფელ აშკარა პოლიტიკისა. რომელსაც ასე მოკლებულია აღნიშნული სახელმწიფოები, რომელშიც ასე დაინტერესებულია ყოველი [illegible] მოკრატიული ქვეყანა და მათშ[illegible] რის, რა თქმა უნდა ჩვენი ნორჩი რესპუბლიკაც.

მე კი ვისურვებდი, რომ უკანასკნელი ხასიათის პირობანი ჩვენს ცნობ ს თან არ სდევდეს...

ხოლო ერთი მეტად ძვირფასი ვალდებულება კი, რომელსაც ჩვენი დამოუკიდებელ სახელმწიფოთ აღიარება მთელი ქვეყნიერების წინაშე უეჭველათ გვაკისრებს, ჩვენ თვითონ კარგად უნდა გვქონდეს შეგნებული და გათვალისწინებული. ეს ვალდებულება გახლავსთ ისა, რომ ფაქტიურად, წმინდათ შევინახოთ ჩვენი დამოუკიდებლობა, მოუაროთ, დავიცვათ განვამტკიცოთ, განვაძლიეროთ და

გამოიწერეთ ჩვენი გაზეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავხადოთ ის ყველა ჩვენი თანამოძმეთათვის საყვარელ სანატრელ და დიადი ცოდნით, მაღალი კულტურით და უფაქიზესი ზნეობით, რომ მართლაც ყველას თვალი ზედა რჩებოდეს ჩვენი პატარა, მაგრამ კოპწია სამშობლოს გარეშე, თუ შინაურ მნახველებს...

მაშ გაუმარჯოს, დამოუკიდებელ ჰაწია, მაგრამ ბუნებითა და ცხოვრებით მდიდარ და კოპწია საქართველოს.

საქართველოს იურიდიულად ცნობა.

ვისაც ქართველ ერის განვლილ ისტორიისთვის, ცოტათ თუ ბევრად თვალი გადაუვლია, უეჭველია, მის წარსულზედაც ნათელი წარმოდგენა ექმნება: ერთი როგორც ერი ტანჯული მრავალ ტირანთა ხელიდგან და მეორე როგორც მაღალ კულტუროსანი და ძლიერი მკომარი.

არავის არ უნდა აკვირვებდეს, რომ ქართველებმა დღემდის თავის ნამდვილი სახე, ნამდვილი „მე" შეინახეს და, მრავალ დაბრკოლებების შემდეგ თავის წაშვებული ერი მთლიანად მიიტანეს დღევანდელ საერთა-შორისო, სკაკობრიო გორდაქმნის კარამდე და უკანასკნელ ბრწყინვალე გამარჯვებამდის.

ევროპის მიერ საქართველოს იურიდიულად ცნობა ჩვენ ოფიციალურად კი არ გვაკვირვებს და არც წყალობათ არ მიგვაჩნია.

ეს არის იმ კულტურის და სიბრძნის ნაყოფი, რომელსაც ქართველები თავიდგანვე იჩენდნენ და დღესაც ეწევიან.

ამისთვის ქართველებს ბევრი საუკეთესო მამულიშვილებიც კი მიუძღვნია მსხვერპლად.

ეს იცის ევროპამ; ეს იცის ქვეყანამ.

ამიტომაც იყო, რომ ევროპამ დააფასა მათი მრავალ წლოვანი ღვაწლი ოცდაშვიდ იანვრის იურიდიულად ცნობით და დ მოუკიდებლობით.

ეს ასეც უნდა მომხარიყო.

სხვაფრივ ევროპას არ შეეძლო, რომ მოქცეულიყო.

მას უსათუოდ ხელი უნდა გამოეწოდნა ქართველებისთვის და თანაგრძნობა გამოეცხადებინა.

ეს უკვე ფაქტია.

და ღ ს სწორედ ეს იწვევს ჩვენში სამხიარულო ზეიმს და ენტუსიაზმს.

უმაღლეს საბჭოს მიერ დადასტურებული საქართველოს დამოუკიდებლობა, ეს ერთგვარი გარანტიაა და თავდები ჩვენსა და ევროპას შორის ფაქტიური ანგარიშის გაწევისა, არც მეტი და არც ნაკლები.

ნურ ვინ ნუ იფიქრებს, რომ ამით ჩვენ მოკავშირე ვიშოვეთ!

ეს შეცდარი აზრია.

ჩვენ ისევ ჩვენი თავის ნ ბარაანა ვართ დარჩენილნი.

27 იანვრის დე-იერე ქართველ ერის ისტორიაში მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ამ ერიდგან ჩვენ ევროპის იმპერიალიზმისგან ვთ ვ სუფლდებით და ჩვენ სუვერენულ სახელმწიფოსაც ალიარებს.

ყოველშემთხვევაში ეს მაინც იმას არ მოასწ ვებს რომ ისინის ქართველოს საკადამო კეთილ მეზობლათ რჩებოდნენ და ჩვენც მტრობის ს ფრიზე აცილებული გვქონდეს!

არა და არ!

დღეს ც საქართველო მტრებით გარემოცულია

ისინი მის გადაყლაპვას დღე-დღეზე ელიან

აქ კი ჩვენ დიდი სიფრთხილე და სიფხიზლე გვმართებს.

ყველა ქართველის ყურადღება დღეს აქეთკენ უნდა იყოს მიქცეული.

დღეს უფრო მეტი უნ ნი, მეტი გამჭრიახობა, მეტი მხნეობა და გამბედაობა გვმართებს.

და მ შინ ჩ ენ ს დღევანდელს ცნობას, უეჭველად ჩვენი ხალხთა ლიგაში მიღებაც მალე მოყვება.

მოსული მუშა.

დეპეშა

(ს. ქ. ინ. დეპეშ. საგ.)

საქართველოს იურიდიულად ცნობა

ოფიციალურ ინ ინ ინ 30 იანვარს, ალამოს 7 ს., თბილისიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: „გატყობინებთ, რომ 27 იანვარს უმაღლესმა საბჭომ იურიდიულად იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა". შინ. საქ. მინისტრი **ნ. რამიშვილი.**

ფელეტონი

ფიქრები დემოკრატიზმზე

საფრანგეთის რევოლიუცია ცით ბონაბერი სიკეთე, ან ჯოჯოხეთით შემოჩენილი ბოროტება როდ ი იყო, ის ისეთივე ბოროტება გ ხდათ, როგორც გუშინდელთან შედარებით, დღევანდელი დღე. ლიუდოვიკ უკანასკნელის მეფობა ეს (ყ ი აბსოლიუტიზმის იმდენათ გამძვიხვ რება, თავისი ალვირ წახსნილი არისტოკრატიულ ოლიგარხიულ რეჟიმით ერთი პიროვნების მთელ სახელმწიფოზე ბატონობის იმდენათ გაზვიადება, რომ ამიერიდგან ასეთი მძიმე შენობის შენერება იმ საფუძველზე, რომელსაც მაშინდელი საფრანგეთის ეკონომიური ცხოვრება წარმოადგენდა, შეუძლებელი იყო. ამიტომ ეს შენობა უნდა დანგრეულიყო და ისაც დანგრა ცნობილ ბაბილონის გოლ ოსავით.

დაინგრა ძველი, მაგრამ საძიებელი და სადაო გახდა ახალი გზა, ვინაიდგან ეს გზა გარკვეული არ იყო არც ზინამდვილეში და არც იდეოლოგიაში, აზროვნებაში. საზოგადოებრივი მეცნიერება ჯერ კიდევ არა ედგა მკვიდრ ნიადაგზე, ხოლო სინამდვილეში ჯერ არსად არ იყო იდეალურად მოწყობილი სახელმწიფო, საიდგანაც საფრანგეთს ცოცხალი მაგალითი უნდა გადმოეღო სახელმწიფოობრივობის მხრით მაშინდელს დროში საფრანგეთი, როგორც პირდაპირი ერთ ერთი მემკვიდრე საბერძნეთ-რომის იმპერიებისა, თუ გნებავთ, თვით წარმოადგენდა კლასსიკურ ქვეყანას და, როგორც ასეთს, მას თვით უნდა მიეცა სხვებისთვის მაგალითი. და ი სწორეთ ამ კლასსიკური ქვეყნის კლასსიკური ბრძოლა, რომელსაც საერთოდ საფრანგეთის რევოლიუცია ეწოდება, ბარის ამ გზის მაძიებელი, ამ მაგალითის მომცემი.

მართალია ამ აზრს სახელმწიფოებრივი ცხოვრების საუკეთესოდ მოწყობის შესახებ ჯერ კიდევ ძველს საბერძნეთშიაც ჰყავდა დიდებული წარმომადგენლები, მაგრამ მის გარკვევას დღემდის ცდილობდენ უმეტესად სუბიეკტიური გზით. აქაც, როგორც სინამდვილეშიც, პიროვნული პრინციპები იყო გაბატონებული. მხოლოდ დღეიდგან კი ის შესდგა სრულიად ახალ, არა პიროვნულ, არამედ საერთო საზოგადო, ანუ სახალხო, დემოკრატიულ გზაზე. ამ მხრივ საფრანგეთის რევოლიუციაც კლასსიკურია. მართალია მან თვით საფრანგეთს ვერ მოუტანა იმდენი სარგებლობა, რამდენიც მსხვერპლი გაიღო ამ გრანდიოზულ ბრძოლაში ამ შედარებით პატარა ქვეყანამ, მაგრამ კაცობრიობისთვის რომ ამ რევოლიუციის როლი და მნიშვნელო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელი შეუწყვეთ ჩვენს გაზეთს

ჩემს მერცხალს

ძლევნად საქართველოს

თავისუფალ არსება ხარ,
თავისუფალ აზრის შვილი,
უპირ-კიდო ცა მიწის შვა,
მიქრი მოქრი, ფრთა გაშლილი.

არ არსებობს შენთვის ციხე,
ბნელ საკანი, ხუნდ-ბორკილი
ის დაბლაა, შენ კი მაღლა..
მიქრი-მოქრი ფრთა გაშლილი...

არვის ძალ-უძს, ფრთა მოგტეხოს,
არ ხარ სუსტად გამოზრდილი,
მტრის ისარი შენ ვერ გწვდება...
მიქრი-მოქრი ფრთა გაშლილი..

თუმც შენს ირგვლივ სიქულვილის
ბადე არის გაფენილი,
შიგ გაგხლართონ, დაგიმონონ
თავისუფალ აზრის შვილი

მაგრამ ამოდ: დაბლა გრჩება,
შენ კი მაღლა გაფრენილი
კვლავ ამაყობ და გულ ლაღად
მიქრი მოქრი ფრთა გაშლილი

ან ვის ძალ უძს, ფრთა მოგტეხოს
ელვის ფრთით ხარ გაფრენილი
შენ მაღლა ხარ, დაბლა გრჩება
მტრობა, შური გულ დ ქრილი.

ე. ბოხუა

სიმღერა ყასბისა

ტყავს ვაძრობ ცხოველებს
მე ძუძუს მწოველებს:
ოთხფეხსა, ორფეხსაც,
მჭამლებს და მძოვ ლებს;

კუდიანს, უკუდოს,
ქუდიანს, უქუდოს,
პურსა და ხორცსა სჭამს,
თუ მჭადს და მუხუდოს.

სხვებს ვჯობნი გონებით;
დახლს ვავსებ ბონებით,
რბილს ვყიდი, ძვლებს ვაწონ,
დუქანს ვსტენ ქონებით.

დავქსელე ძაფები..
დე, მოიხვდეს „ტრაფები"
ქონმა შეას საპონი,
საპონმა „ქაფები"...

დიდი მაქვს დახლები,
ვიყიდე სახლები,
შიგ დავდგი ნივთები,
სულ ახალ ახლები...

ხალხთან სულ ვსტირიმე:
„ვარ თქვენი ვირი მე"!...
(ვირი კი სულ ქდება,
იმისი ჭირიმე!)

„პატრონსა კი ჭირიცა,
ნამდვილი ვირიცა,
ხორცი თუ არ დარჩეს,
მიირთვას „პირიცა"!..

ონისიმე

ბა პირდაპირ დაუფასებელია, ეს კი დღესავით ნათელია. ის გზის მაჩვენებელია სხვა ქვეყნების მოძრაობისათვის თავისი დადებითი მხარეებით. ის დამაფიქრებელ-მაფხიზლებელი კანდელია მომავალ რევოლიუციებისათვის თავისი უარყოფითი მხარეებით. ის ცხოვრებაში მეცნიერული ცდის მაგვარი მოვლენაა დიდებულ სოციალისტების მარქს-ენგელსის კაპიტალური შრომისათვის მეცნიერული სისწორის დამსაბუთებელი...

ასეა, თუ ისე შედეგათ ამ რევოლიუციისა, ანუ უკეთ, რევოლიუციებისა, საფრანგეთმა მაინც მიიღო რესპუბლიკანური წესი მირთვა-გამგეობისა. ფაქტიურად გაიმარჯვა იმ კლასმა, რომელიც სინამდვილესთან უფრო შეგუებული და, მაშასადამე, ხანგრძლივსა და გამანადგურებელი სამოქალაქო ომის მთელი საშინელების უფრო ამტანი აღმოჩნდა. ეს კლასი იყო ბურჟუაზია, მოხსენებულს დროში უეჭველათ პროგრესიული და ბევრ საკაცობრიო მაღალ იდეალების მატარებელი.

ეს კლასი თავისი არისტოკრატიით მოექცა სათავეში სახელმწიფოს. ხოლო ცნობილია, რომ იქ, სადაც არისტოკრატია ერთხელ გაბატონდება, დემოკრატიზმის თავისუფალი განვითარება შეზღუდულ-შეფერხებულია, ვინაიდგან არისტოკრატიზმი და დემოკრატიზმი ეს ერთი მეორის უარმყოფი ცნებაა.

აღნიშნულ მდგომარეობით საფრანგეთის ბურჟუაზიამ ფართეთ მოისარგებლა. მან ბლომათ შექმნა თავისი ბატონობის გამახანგრძლივებელი მკვიდრი სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი სხვა და სხვა სახის ორგანიზაციები, საიდგანაც შემდეგ იქ ერთხელ მოკალათებულ ბურჟუაზიულ კლასის წარმომადგენელთა გამორეკა დემოკრატიისათვის ერთობ საძნელო გახდა. ეს გარემოება კი ბევრ მხრივ მავნებელი შექმნა საფრანგეთის მომავალი განვითარებისათვის, ამ სიტყვის ნამდვილის მნიშვნელობით.

თუ რამდენად მავნებელია და ,სა-ძნელო რომელიმე ორგანიზაციიდგან იქ ერთხელ მოკალათებულ არისტოკრატიის გამორეკა, ამისი ცოცხალი მაგალითები ჩვენს წარსულშიც ბლომათ მოიპოვება. ავლოთ მაგალითისთვის თუნდაც ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოება. ამ საზოგადოებაში იმ თავიდანვე ფეხი მოიმაგრა ნახევრად ფეოდალურ, ნახევრად ბურჟუაზიულმა ინტელიგენციამ აწ განსვენებულ ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, ახლად ჩასახული „მესამე-დასი," სხვათა შორის, მთელის სიმედგრით ებრძოდა ამ ორგანიზაციას და მოინდომა შიგ დემოკრატიზმის შეტანა. თითქმის მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში სწარმოებდა ამ ორ ჯგუფშორის სამკვდრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძინეთ ჩვენი გაზეთი

ხმა მასწავლებლისა

გაზეთ ,,სიმართლის ხმა"-ს თავის პირველ ნომერში მოჰყავს ცნობები იმის შესახებ, რომ თბილისში დასრულდა სრულიად საქართველოს მასწავლებელთა წარმომადგენლების ყრილობა, სადაც თურმე ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: ,,თუ მთავრობა მასწავლებელთა მოთხოვნილებებს თებერვლამდის არ დააკმაყოფილებს, მაშინ მასწავლებელნი იძულებულ იქნებიან, რომ გაიფიცონო."

ამ საგანზედ ჩვენც გვინდა ორიოდ სიტყვა გამოვსთქვათ ჩვენი აზრი.

რა თქმა უნდა, რომ დღევანდელ დუხჭირ ცხოვრებაში ყველაზე მეტად მასწავლებელია გაჭირვებული, რადგან ის ყველაზე ნაკლებ ჯამაგირს იღებს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ პირიქით, ხალხის თანაგრძნობა აქვთ, მასწავლებლებს მძიმე მდგომარეობის გაუმჯობესობისაკენ უნდა იყოს, მაგრამ, რას მოსთხოვ იმდენს ისედაც გაჭირვებულ მოქალაქეს, რომ ასეთი მძიმე ტვირთის ზიდვა მასწავლებელს შეაძლებინოს და შეუმსუბუქოს. რომელსაც თვითონაც გაჭირვებულია საერთო მძიმე მდგომარეობით.

მაშასადამე საჭიროა, რომ აქ საქმეს უფრო სხვანაირად, უფრო ობიექტიურად შევხედოთ და არაშემთხვევაში არ იყოს დაშვებული ისეთი ზომები, რომელიც კი ზიანს მოუტანს ხალხს და სახელმწიფოსაც.

ეს არის გაფიცვა.

გაფიცვა არის უკიდურესი დამღუპველი ზომა სკოლისთვის. გაფიცვები კაპიტალისტ-ბურჟუების წინააღმდეგ აუცილებელი და საჭირო იარაღია, მაგრამ გაფიცვა სკოლის და ბავშვების წინააღმდეგ შეუძლებელია. ხალხის მტერს სურს, მასწავლებელი დარჩეს დაუკმაყოფილებელი მოახდინოს გაფიცვები, სკოლები მიკეტ-მოკეტოს და ხალხი დაარჩინოს სიბნელეში.

აქ თვით მასწავლებელმა უნდა შეიგნოს მისი დიადი მიზანი, ის თუ ხალხის შვილია, თუ ის ხელს უწყობს ხალხის მომავალ კეთილ დღეობას თუ სწამს მას, რომ ის ხალხს ძღვნის თავის ერთნაირ წვლილს და მით მოაქვს ხალხისთვის სარგებლობა, ის არას დროს არ უნდა დაადგეს გაფიცვას ხალხის საზარალოდ.

გაფიცვა უნდა იყოს მიმართული ცალკე ექსპლოატატორებისაკენ და არა ხალხისაკენ.

მასწავლებელთა გაფიცვა მათი სულმოკლეობის მაჩვენებელი იქნება ხალხის მტრების ხელში მკვეთრი იარაღი, ვინაიდგან მასწავლებელთა უკიდურესი, სასტიკი ზომა ხალხის საზარალოდ.

დავეხმაროთ ხალხს და ხალხიც მასწავლებელს მოეხმარება.

2 იანვარს შესდგა ქ. სოხუმში გუმისტის მაზრის მასწავლებელთა ყრილობა. ყრილობაზე დიდი ბაასი იყო მასწავლებელთა მატერიალურ მდგომარეობაზე. დაადგინეს მოითხოვონ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. გაფიცვა კი არ მიუღიათ. ის თანამედროვე მომენტში მიზანშეწონილად არ სცნეს.

მასწავლებელი.

სასიცოცხლო ბრძოლა, მაგრამ ერთხელ იქ მოკალათებულთ ბანდალიც ვერ უქნეს. ცნობილ მერცხლისა და ჭივჭავის ომსა ჰგავდა მათი ხანგრძლივი ბრძოლა, რომელმაც ბოლოს ამ მეორე დიდი რევოლიუციის ხანაში ძლივს მიანიჭა სასურველი გამარჯვება დემოკრატიზმისათვის თავდადებულთ მებრძოლ მერცხლებს...

(შემდეგი იქნება)

ნ. ქურიძე

რედაქციისაგან

რედაქცია აცხადებს ყველა თანამშრომელთა საყურადღებოთ, რომ გაზეთისთვის გამოგზავნილი დასაბეჭდი წერილები, უსათუოდ ერთ გვერდზე და გარკვევით უნდა იქმნეს დაწერილი და ხელმოწერილი. უსახელო წერილებს რედაქცია არ დაბეჭდავს.

საყურადღებო ამბები

ყირიმელი თათრები და ბოლშევიკები. პარიზელი ეხო დე პარი იუწყება: ჟენევაში მოვიდა ცნობები ყირიმის თათრების ბოლშევიკების წინააღმდეგ აჯანყების შესახებ.

თანახმად ამ ცნობებისა თათრებს დაუჭერიათ კავშირი მახნოს ბანდებთან, რომელნიც თურმე ეკატერინოსლავის გუბერნიაში მოქმედობენ.

მესამე ინტერნაციონალის წინააღმდეგ. ინგლისის მუშათა პარტიამ დაამტკიცა მესამე ინტერნაციონალის წინააღმდეგ მიმართული რეზოლიუცია.

სომხეთში. თანახმად სომხური გაზეთ ,,აშხატავორი"-ს გადმოცემით სომხეთის რევკომმა გამოსცა ბრძანება, იმის შესახებ, რომ ყოველ გვარ საქმის წარმოება წარმოებდეს სომხურის მაგივრად რუსულ ენაზე.

მუშათა შორის

სოხუმის ბეჭდვითი სიტყვის პროფესიონალური კავშირი

ბეჭდვითი სიტყვის პროფესიონ. კავშირები, აქა თუ იქ, ყველგან, ცნობილია, როგორც პოლიტიკო-ეკონომიური ავანგარდ-მებრძოლნი, მუშათა ცხოვრებაში. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ეს არ ითქმის სოხუმის ბეჭდ. სიტყ. პროფ. კავშირზე. მასში ჩვენ არავითარ აღმშენებლობითი მუშაობას ვერ ვხედავთ და დიდ უმოქმედობას იჩენს კავშირის გაჯანსაღებაში. ამის მიზეზი მუშათა კონტიგენტის ნაკლულოვანებაა ხსენებულ კავშირში, რადგან ძალიან გულითაც რომ მოიწადინონ კავშირის გაჯანსაღება, ვერ შესძლებენ მცოდნე პირების ნაკლულოვანების გამო. ამას წინაზედ გამგეობის არჩევა მოხდა და, ერთ-ორი კაცის გარდა, ისევ ძველები შევიდნენ გამგეობაში.

ნეტავ როდემდის ივლის ამ გზით კავშირი?

გულშემატკივარი.

გამოცემა სარედაქციო კოლლეგიისა.

განცხადებანი

საჭიროა

ქალაქის ცენტრში ერთი ოთახი და მაღაზია. წერილობით და პირადად მიმართვა შეიძლება ივგენ ბოხუასთან, კაფეინია „საქართველო".

მკერავი ქალი

იაფად და კარგად ჰკერავს კოსტუმებს, პალტოებს და თეთრეულს.

მისამართი: გერმანის ქუჩა, სახ. № 1 ეზოში. იკითხეთ ნინა. 6—1.

ქ. სოხუმი, სტამბა 1 სოხუმის სანაპირო რაზმისა.